სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XXI, 2023-2024 წელი

ლევან ჯინჯიხაძე[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

https://doi.org/10.52340/sou.2023.21.43

ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ასახვა ქართველ მწერალთა შემოქმედებაში „რუხის ბრძოლის“ მიხედვით

აბსტრაქტი. ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საკითხი და საერთოდ აფხაზეთის თემა მკაფიოდ აისახა ბესარიონ გაბაშვილის, იაკობ გოგებაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, ლეო ქიაჩელის, ნიკო ლორთქიფანიძის, ვასილ ბარნოვის, კონსტანტინე გამსახურდიას, თედო სახოკიას და სხვათა მხატვრულ ნაწარმოებებსა თუ კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებში.

ჩვენს კვლევის ძირითადი მიზანს წარმოადგენს რუხის ბრძოლის, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ერთი უმნიშვნელოვანესი ეპიზოდის ასახვა ქართველ მწერალთა შემოქმედებაში. რუხის ბრძოლის სურათები მოცემულია XVII საუკუნის ქართული პოეზიის წარმომადგენლის ბესარიონ გაბაშვილის ისტორიულ პოემაში „რუხის ბრძოლა“. ამ თემაზე დაწერილია სხვა ნაწარმოებებიც. კერძოდ, გრიგოლ დადიანის მიერ იოანე გეგეჭკორის ფსევდონიმით „რუხის ბრძოლა, ანუ ცხოვრება დიდის მეფისა სოლომონისა“, დავით დადიანის (ნოღელი) – „რუხის ომი“. 1913 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა კრებულ „ძველი საქართველოს“ მე-2 ტომში მოათავსა რუხის ბრძოლის შესახებ არსებული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. როგორც ცნობილია, სწორედ ამ ზეპირსიტყვიერების საფუძველზე დაიწერა ნიკო ლორთქიფანიძის სატირული მოთხრობა „რაინდები“.

ყურადღება არის გამახვილებული იმ ისტორიულ მიზეზებზე, რამაც განაპირობა ქართველებისა და აფხაზების სისხლისმღვრელი დაპირისპირება. დასმულია საკითხი, თუ როდის გაიმართა აღნიშნული ბრძოლა, 1779 წლის

[1] **ლევან ჯინჯიხაძე,** პედაგოგიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,

მიწურულს თუ 1780 წელს. ვფიქრობთ, ეს საკითხი უფრო მეტ სიზუსტეს მოითხოვს, რადგან მკვლევართა ერთი ნაწილი 1779 წელს ასახელებს, ხოლო მეორე ნაწილი - 1780 წელს.

ნაშრომში შეძლებისდაგვარად გააანალიზებულია და წარმოჩენილი იმ ქართველ მწერალთა ნაწარმოებები, რომლებიც აღნიშნულ საკითხს - რუხის ბრძოლას და მის გამომწვევ მიზეზებს ეხება.

დასკვნის სახით მოცემულია აღნიშნულ ნაწარმოებთა არა მარტო ისტორიულად ცნობილი ამ მოვლენის გააზრება და ავტორთა ეროვნული თვალთახედვა, არამედ იმ პროცესების სიღრმისეული განსჯა-ანალიზიც, რომელიც აფხაზური სეპარატიზმის აღზევების შედეგად თავს დაატყდა საქართველოს მე-20 საუკუნის 90-იან წლებში.

საკვანძო სიტყვები: ქართულ-აფხაზური ურთიერთობები, რუხის ბრძოლა, ქართველი მწერლები, შემოქმედება, აფხაზეთის თემა.

Levan Jinjikhadze[2]
Sokhumi State University

Reflection of Georgian-Abkhaz relations in the works of Georgian writers according to „RukhiBattle“

Abstract. The issue of Georgian-Abkhaz relations and the topic of Abkhazia in general was clearly reflected in the artistic works and critical-publicist writings of Besarion Gabashvili, Jacob Gogebashvili, Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Niko Nikoladze, Leo Kyacheli, Niko Lortkifanidze, Vasil Barnov, Konstantine Gamsakhurdia, Tedo Sakhokia and others.

Our main goal is to reflect Rukhi battle or Georgian-Abkhazian relations in the works of Georgian writers. The images of RukhiBattle are given in the historical poem „RukhiBattle“ by Besarion Gabashvili, a representative of Georgian poetry of the 17th century. Other works have been written on this topic. In particular, Grigol Dadiani under the pseudonym of Ioane Gegechkor „Rukhi battle, or the life of King Solomon the Great“, Davit Dadiani (Nogheli) – „Rukhi war“. In 1913, Ekvtime Takaishvili included in the 2nd volume of the collection „Old Georgia“ the examples of oral tradition about RukhiBattle. As is known, the satirical story „Knights“ by Niko Lortkipanidze was written based on this oral folklore.

In the report, we focus on the historical reasons that led to the bloody conflict between Georgians and Abkhazians. The question is raised as to when the said battle

[2] **Levan Jinjikhadze**, Doctor of Pedagogy, Associate Professor of Sokhumi State University.

took place, at the end of 1779 or in 1780. We think that this issue requires more accuracy, because one part of the researchers names 1779, and the other part - 1780.

In the report, as far as possible, the works of those Georgian writers are analyzed and presented, which are related to the mentioned issue - Rukhi battle and its causes.

As a conclusion, not only the understanding of this historically known event and the authors' national point of view, but also an in-depth judgment-analysis of the processes that befell Georgia in the 90s of the 20th century as a result of the rise of Abkhazian separatism are given.

Keywords: Georgian-Abkhazian Relations, Battle of Rukhi, Georgian Writers, Creativity, Abkhazian Theme.

შესავალი. ქართველ მწერალთა შემოქმედებაში, აფხაზეთის თემა, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საკითხი მეტად მძლავრად არის წინა პლანზე წამოწეული. ეს თემა მკაფიოდ აისახა ბესარიონ გაბაშვილის, იაკობ გოგებაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, ლეო ქიაჩელის, ნიკო ლორთქიფანიძის, ვასილ ბარნოვის, კონსტანტინე გამსახურდიას, თედო სახოკიას და სხვათა მხატვრულ ნაწარმოებებსა თუ კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებში.

ჩვენი კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს რუხის ბრძოლის ანუ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ასახვა ქართველ მწერალთა შემოქმედებაში. რუხის ბრძოლის სურათები მოცემულია XVII საუკუნის ქართული პოეზიის წარმომადგენელის ბესარიონ გაბაშვილის ისტორიულ პოემაში „რუხის ბრძოლა“. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ ომისადმი ინტერესი არ განელებულა შემდგომშიც. რუხის ბრძოლაზე პოემები აქვთ დაწერილი გრიგოლ დადიანს (ფსევდონიმები: კოლხიდელი, იოანე გეგეჭკორი, მეგრელი) „რუხის ბრძოლა, ანუ ცხოვრება დიდის მეფისა სოლომონისა“, რომელიც დავით ჩუბინაშვილმა შეიტანა თავისი „ქართული ქრესტომათიის“ 1863 წლის გამოცემაში და დავით დადიანს (ნოღელს) „რუხის ომი“.

1913 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა კრებულ „ძველი საქართველოს“ მე-2 ტომში მოათავსა რუხის ბრძოლის შესახებ არსებული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. როგორც ცნობილია, სწორედ ამ ზეპირსიტყვიერების საფუძველზე დაიწერა ნიკო ლორთქიფანიძის სატირული მოთხრობა „რაინდები“.

ვიდრე უშუალოდ ვისაუბრებდეთ ქართველ მწერალთა შემოქმედებაში რუხის ბრძოლასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ორიოდე სიტყვით ყურადღება გავამახვილოთ იმ მიზეზებზე, რამაც გამოიწვია ქართველებისა და აფხაზების სისხლისმღვრელი დაპირისპირება. როგორც ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან ცნობილია, მე-18 საუკუნის მე-2 ნახევარში ოსმალოთა წინააღმდეგ ბრძოლამ დასავლეთ საქართველოში საკმაოდ დიდი გაქანება

მიიღო. ქუჩუკ-კაინარჯის 1774 წლის ზავით თურქეთმა იმერეთის საქმეებში ჩარევის უფლება დაკარგა. ამიტომ იგი მცდელობას არ იშურებდა, რომ იმერეთისათვის ჩამოეშორებინა ოდიშის სამთავრო და აფხაზეთის ტერიტორიიდან ოდიშზე გაილაშქრა. თურქეთის მოკავშირეებად ვხედავთ არა მხოლოდ აფხაზებს, არამედ ალანებს, ჯიქებს, ადიღე-ჩერქეზებს, ბალყარელებს და ყირიმელ თათრებსაც კი. სამეგრელოს მთავარმა კაცია II დადიანმა იმერეთის მეფეს სოლომონ პირველს სთხოვა დახმარება, რომელიც იმერეთ-გურიის ჯარით მიეშველა. ბრძოლა, რომელიც რუხის ციხესა და ზუგდიდს შორის მოხდა, იმერეთ-გურია-სამეგრელოს ლაშქრის სრული გამარჯვებით დასრულდა. ამ დიდმა გამარჯვებამ ფაქტობრივად წერტილი დაუსვა აფხაზთა შემდგომ შეტევებს სამეგრელოს სამთავროზე. რუხის ბრძოლის შემდეგ აფხაზეთში შიდა დაპირისპირება დაიწყო და უკვე სამეგრელოს მთავარი ჩაერია მათ შიდა საქმეებში. სამურზაყანოს ტერიტორია კვლავ სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში დარჩა. აფხაზებს ამის შემდეგ არც კი უცდიათ ქართული ტერიტორიების მისაკუთრება.

აქ ისმის კიდევ ერთი საკითხი, თუ როდის გაიმართა აღნიშნული ბრძოლა, 1779 წლის მიწურულს თუ 1780 წელს. ა. ნიკოლეიშვილის მიხედვით ბრძოლა 1779 წელს მოხდა (ნიკოლეიშვილი 2004: 3). იგივე თარიღი დასმულია გრიგოლ დადიანის წიგნზე ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ (გეგეჭკორი 1895). აღნიშნული თარიღი მითითებულია ქადირ გულდურის სადისერტაციო ნაშრომშიც (გულდური 2021: 183), ლ. ტყეშელაშვილთან (ტყეშელაშვილი 2016: 91), პ. ზაქარაიასთან (ზაქარაია 2004: 123), ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტ. VIII., 1984: 519), საქართველოს ისტორიის ნარკვევების მე-4 ტომში (საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. IV, 1973: 492) და სხვა გამოცემებსა თუ ინტერნეტწყაროებშიც.

1780 წელი მითითებულია კ. კეკელიძესთან და ა. ბარამიძესთან (კეკელიძე, ბარამიძე, 1987: 467), დ. ზაქარაიასთან (ზაქარაია), კ. კვაშილავასთან (კვაშილავა 2011: 175), კ. კვაშილავასა და თ. ქართველიშვილთან (კვაშილავა, ქართველიშვილი, 2020: 29-36), პ. გაბისონიასთან 1780 წლის მარტის თვე არის დაფიქსირებული (გაბისონია 2012: 105-115).

მიუხედავად იმისა, რომ 1779 წელი უფრო მეტად ფიქსირდება სამეცნიერო ლიტერატურაში, მეცნიერთა მიერ დღეს უკვე საბოლოოდ დადასტურებულია, რომ 1780 წელი მივიჩნიოთ რუხის ბრძოლის თარიღად. როგორც აღვნიშნეთ, რუხის ბრძოლის პერიპეტიები აღწერილი აქვს ბესარიონ (ბესიკ) გაბაშვილს თავის ისტორიულ პოემაში „რუხის ბრძოლა“, რომელიც თავად იყო მომსწრე და მონაწილე ხსენებული ომისა. ამ პოემას მნიშვნელოვანი ად-

გილი უჭირავს პოეტის შემოქმედებაში. ბრძოლის სურათები აღწერილია სახოტბო პოეზიის ტრადიციების მიხედვით. ბესიკი ხოტბას უძღვნის როგორც მოკავშირეთა ჯარების მეთაურებს სოლომონ I მეფესა და კაცია II დადიანს, ისე ბრძოლის სხვა ხელმძღვანელებსა თუ შედარებით რიგით მონაწილეებს - სარდალ წერეთელს, გიორგი წულუკიძეს, ელიზბარ ერისთავს, რომან ჩიჩუას.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ლევან მენაბდის ცნობაც: „ერთი ხელნაწერის მიხედვით, ესაა „შესხმა იმერთა მეფე სოლომონ პირველისა დავითიან-ბაგრატოვანისადმი თქმული ბესარიონ ზაქარიას ძე გაბაონისაგან, რომელიცა მიართვა მან მეფესა თვით ხელითა თვისითა დღესა ქრისტეს აღდგომისასა და მიულოცა მით აღდგომა ქრისტესი და ძლევა ძლიერი აფხაზთა, ჯიქთა და ალანელთა ზედა პროზად და შაირად შეთხზული“ (მენაბდე 1962: 521).

როგორც მითითებულ ცნობაში არის მოცემული, პოემა დაწერილია ნაწილობრივ პროზაული, ნაწილობრივ კი ლექსის სახით. რიტორიკა თანაბრად ახასიათებს როგორც პროზაულ, ასევე ლექსად დაწერილ ნაწილებს. ბესიკს საქმე ისე წარმოუდგენია, თითქოს ერთ მხარეზე იყვნენ მშვიდობისა და ქრისტიანული მრწამსის წარმომადგენელნი (იმერელნი და მეგრელნი), ხოლო მეორე მხარეზე სისხლის მსმელი „აგარიანნი“. შესავალ ნაწილში პოეტი საზეიმო ხმით აცხადებს: „და ესრეთ ყოველი სახლი დავითისი ხელ-აღტყველვილებრ განიშვებს, რამეთუ დღეს დაცემა იქმნა ქედ-მაღალთა მათ უცხოთესლთა აგაროვანთა და აღსდგა პირი დავრდომილი ქრისტეანეთა!“

პოეტის ინფორმაციით სამეგრელოს წინააღმდეგ შეთქმულმა ოთხმა ძმამ - ზურაბ, ლევან, ბექირ და ქელეშ შარვაშიძეებმა, რომლებიც აფხაზეთის მთავრები და თავადები იყვნენ, სამეგრელოს დასაპყრობად „მოიხმნეს ლაშქარნი ქვეყნის მგრევანი“. ბესიკი ამის შესახებ შემდეგნაირად გადმოგვცემს:

„ყირიმელთ, ჯიქელთ, ალანელთ, კერმუგელთ ამცნეს ცნობითა,

ყივჩაღთა შემოიწვევდნენ, ინდობდნენ სჯულიას ძმობითა,

აფხაზნი შეეფიცოდნენ ქრთამით და აგრევ ძღვნობითა“ (ბესიკი 1962: 124). ბესიკის ცნობით, თურქთა მიერ მოწყობილ ამ ლაშქრობაში ექვს ენაზე მოლაპარაკე მოლაშქრეები ყოფილან.

„ექვსნი გვარნი ექვს ენითა

ერთ-ხმაობდნენ ბევრის ბევრად“ (ბესიკი 1962: 124).

პოეტის სიტყვით, ოთხივე ძმა შარვაშიძეს „მეგრელთა სისხლი სწყუროდათ, ცა შეესვათ გობითა“. პოემიდან ძალიან კარგად ჩანს, რომ სწორედ ასეთივე სურვილები ამოძრავებს სოლომონ პირველს და კაცია დადიანს. სოლომონის შესახებ ვკითხულობთ „მისთვის მოველ, ჩემთა სპათ სისხლი ვასვა,

ვით სწყუროდა!“ ხოლო კაცია დადიანს, რომელსაც ზურაბ შარვაშიძესთან შეყრა სურდა, ამბობდა: „თუ ვნახე, სისხლით დავსთვრეო, ხორცითა შევაქნევ ჭამასო!“

პოემაში ისიც არის ნაჩვენები, რომ იმერთა მეფე მომხდარით არ არის გახარებული, არამედ დამწუხრებულია და თვალცრემლიანი. ამით პოეტს იმის თქმა სურს, თუ როგორ ეცლებოდა საფუძველი ამგვარი ქმედებით საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

გრიგოლ დადიანის, იგივე იოანე გეგეჭკორისაგან თქმული 1836 წელსა „რუხის ბრძოლა ანუ ცხოვრება დიდისა მეფისა სოლომონისა“ წიგნად დაიბეჭდა 1895 წელს და 22 გვერდიანია. გამოიცა სულ 3 400 ტირაჟი. ავტორის განცხადებით დახმარება ვასო ჯაფარიძესა და სანდრო იოსების ძე ბერელაშვილს გაუწევია. საგულისხმოა ისიც, რომ პოემის დასასრულს პოეტს მოცემული აქვს „განმარტება რომელთამე სიტყვათა“.

გრიგოლ დადიანის პოემაში, ისევე, როგორც ბესიკთან, აღწერილია რუხის ბრძოლის ეპიზოდები. ნაწარმოების დასაწყისში ავტორი გვესაუბრება სოლომონ მეფის წარმომავლობაზე და გვისურათხატებს მის რაინდულ თვისებებს:

„დავითის ნათესავთაგან ფლობდა იმერეთს ცხებული,
სოლომონ მეფე მამაცი, გმირი პომპეად გებული,
ზარმცემი, მტერთა მომსვრელი და სიმართლითა ქებული,
და ქვეშევრდომთა მამა მფარველი, სიბრძნე, სიმდაბლით შკებული.“
(გეგეჭკორი 1895: 3).

როცა იმერთ ლაშქარი მოილხენს, სწორედ ამ დროს მოდის კაცია II დადიანის გამოგზავნილი შიკრიკი, რომელმაც მეფეს გადასცა სამეგრელოს მთავრის დანაბარები - დაეხმაროს დადიანს აფხაზთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ისევე როგორც თავის დროზე მიეშველა იგი თავისი ჯარით ხრესილის ომში. პოემაში ავტორის მიერ მოცემულია აფხაზ მთავართა განზრახვა ოდიშის დაპყრობისა. ნაჩვენებია აფხაზ და ჩრდილოკავკასიელთა ჯარის რაოდენობა რიცხობრივი თვალსაზრისით:

„ორმოც-ათასად შემდგარი, ოდიშს დაპყრობის მძებნელი,
და ჩერქეს, ჯიქია, ალანი, აფხაზი ღამის მთენელი“ (გეგეჭკორი 1895: 4).

იგივე რაოდენობას ვხედავთ სხვა სტროფშიც:

„ორმოც-ათასი ჯარი გვყავს, თუ ითქმის უძლეველია“.(გეგეჭკორი 1895: 5).

საინტერესოა თურქთა, აფხაზთა, ჩრდილოკავკასიელთა და ყირიმელ თათართა ერთობლივი ჯარი სინამდვილეში რამდენ მებრძოლს ითვლიდა. რამდენად სწორ ინფორმაციას ფლობდა იოანე გეგეჭკორი. ისტორიოგრაფიაში ფიქსირდება სხვადასხვა მოსაზრებებიც, კერძოდ, ზ. მოლაშხიასთან

(მოლაშხია 2002: 11), ს. მაკალათიასთან (მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 2006: 132) და სხვასთანაც მითითებულია, რომ აფხაზებისა და დაქირავებულთა ჯარი 11 000 მებრძოლისაგან შედგებოდა, დ. ზაქარაიასთან კი - 40 ათასი. დ. ზაქარაია როგორც ჩანს, გრიგოლ დადიანის პოემაში მოცემულ ინფორმაციას ეყრდნობა, თუმცა, ამავე დროს ვერ ვხედავთ მისი მხრიდან მოცემული საკითხის საფუძვლიან კვლევას.

კ. კვაშილავა ეყრდნობა რა ბესიკის პოემას, ათი ათას მეომარს ასახელებს (კვაშილავა 2011: 174). ამ შემთხვევაში იგი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონზე დაყრდნობით მიუთითებს, რომ ძველ ქართულში სიტყვა „ბევრი“ რიცხობრივად ათი ათასს უდრიდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მომხდურთა ლაშქარი 11 000 უფრო უნდა ყოფილიყო. თუ რატომ, შევეცდებით კიდევ უფრო რამდენადმე დასაბუთებულად წარმოვაჩინოთ ჩვენი მოსაზრება.

ბესიკი, რუხის ბრძოლის მომსწრე, შემდეგნაირად გადმოგვცემს მტრის სიმრავლეს:

„მოკრბა დას-დასად
მწყობრ ბევრ-ათასად
შარვაშის-ძეთა ეზო-კარებსა:
ვინ იდგეს შორად
ანუ მთა-გორად,
ფეხ-მალიად ვლეს მათსა არებსა:
ჯაჭვ-თოროსანნი,
ისარ-ფრთოსანი
სიმრავლით სცემდნენ თვალთა ზარებსა...“ (ბესიკი 1962: 123).

რაზედაც კ. კვაშილავა გვესაუბრება სწორია მხოლოდ ის, ძველ ქართულში სიტყვა „ბევრი“ რიცხობრივად ათი ათასს ნიშნავდა. ბუნებრივია, ამას მოწმობს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი: *„ბევრი* - ათი ათასი“ (ორბელიანი 1966: 99). ანალოგიურად გვაქვს ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც, სადაც ჩვენთვის ყველაზე უფრო ფასეულია სიტყვის მეოთხე მნიშვნელობა: *„ბევრი* - 1. დიდი რაოდენობა, მრავალი; 2. დიდი, დიდად, ძალიან; 3. მეტი; 4. ძვ. ათი ათასი“ (ჩიქობავა 1950: 1023-1024).

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მეორე ტომში სიტყვა „უშტი“, განმარტებულია შემდეგნაირად: *„უშტი* (+ ესე არს რიცხვი ქართულის ანგარიშისა ყო(ვ)ელთა რიცხვთაგან სხვა რიგი, რამეთუ) ათჯერ ათი არს ასი, ათჯერ ასი არს ათასი, ათჯერ ათასი არს ბევრი, ათჯერ ბევრი არს ბევრის-ბევრი. ათჯერ ბევრის-ბევრი არს უშქარი. ათჯერ უშქარი არს უშტი. ათჯერ უშტი არს უშტის-უშტი“ (ორბელიანი 1993: 175).

ლექსიკოგრაფი აქვე იძლევა მოცემული განმარტებების ციფრობრივ დახასიათებას: „10 - ათი; 100 - ასი; 1000 - ათასი; 10 000 - ბევრი; 100 000 - ბევრის-ბევრი; 1 000 000 - უშქარი; 10 000 000 - უშტი; 100 000 000 - უშტის-უშტი“ (ორბელიანი 1993: 175). თუ დავაკვირდებით, ბესიკის მიერ დასახელებული რიცხვი „ბევრ-ათასი“ ათი ათასს არანაირად არ ნიშნავს. სულხან-საბას ლექსიკონში ძალიან კარგად არის განმარტებული: *ბევრი* - 10 000, ხოლო *ათასი* (1 000) კიდევ ცალკე არის მოცემული. ბევრ-ათასად უნდა იყოს ადიციური (მიმატება) და არა მულტიპლიკაციური (გამრავლება). ე. ი. ბევრ-ათასად ნიშნავს 10 000 + 1 000 = 11 000. აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი ფაქტიც, როცა ბესიკი წერს „ექვსნი გვარნი ექვს ენითა ერთ-ხმაობდნენ ბევრის ბევრად“, აქ, ბევრის ბევრად (ბევრის ბევრი, ანუ ათჯერ ბევრი გაცილებით მეტს (100 000) ნიშნავს. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მომხდურთა სურვილი იყო მეგრელ-იმერლებს მტერი რიცხოვნობით გაცილებით მეტი ჰგონებოდათ.

მეფის ბრძანებით იმერთა ლაშქარი სასწრაფოდ შეიკრიბა სამეგრელოს დასახმარებლად. აფხაზები როგორც კი გაიგებენ, რომ იმერეთის ლაშქრის ჩასვლას სამეგრელოში სოლომონ მეფის მეთაურობით, თათბირის შემდეგ გადაწყვეტენ მოღალატე კოჩი უჩარდიას მიგზავნას.

„ჩვენ გავგაზავნოთ უჩარდია, არ ვარგა სიტყვის ლევაო,
და არც არაფერი დაგვაკლდების სრულიად უჩარდიას მკვლევაო“
(გეგეჭკორი 1895: 8).

ძმების ვერაგულ და მუხთალ გადაწყვეტილებას წინ აღუდგება ბექირ-ბეგ შარვაშიძე: „გმირთ მამაცთა წესია ბრძოლა ფიცხელი გულობა,
არ მომწონს ჩემთა ძმათაგან ამ რჩევისა თქმულობა.
და არც არის პატიოსნება მტრისა მუხთლობით მკვლელობა“
(გეგეჭკორი 1895: 9).

ბექირ-ბეგის თქმით, როცა ორმოცათასიანი ჯარი გყავს, სჯობს ბრძოლის ველზედ გამოჩნდეს რომელი მხარე აღმოჩნდება უფრო ძლიერი. თუმცა ძმებმა მაინც შეძლეს მისი დაყოლიება, რომ ჯერ უჩარდია მიეგზავნათ კაცია დადიანთან შესარიგებლად და მშვიდობის დამყარების მიზნით, თვითონ კი მოულოდნელად დასხმოდნენ თავს მეგრელ-იმერელთა გაერთიანებულ ჯარს. მაგრამ ეს მცდელობა აფხაზებისა ფუჭი გამოდგა.

გრიგოლ დადიანის მიერ პოემაში ნაჩვენებია ბრძოლისას თუ როგორ
„აირივნენ აფხაზები, ძალა არ ჰქონდათ მეტია,
აღარ ვახსენებ ქელეშ-ბეგს, ზურაბს და ლევანს მეტია,
ბექირ-ბეგ ბრძოლით იწევა, ვით ვეფხვი სისხლის მხვრეტია,
და მეფე იძახის: „ვა, მაგას“, მტერთა გაქცევის მჭვრეტია“
(გეგეჭკორი 1895: 15).

ალბათ ღირს ყურადღების გამახვილებაც იმაზეც, რომ ნაწარმოებში აფხაზები მოხსენებულია თხებად და ჭკუათხელ ადამიანებად. ამის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი ფრაზები: „ეტყვის „მეგრელო, ნუ სწუხარ, მე წარვემართო ხვალია/ბრძანებს „მებრძოლთა, მათ თხათა, მე დავუბნიო კვალია“. (გეგეჭკორი 1895:4). „ჩუმ-ჩუმ ფურჩულით აფხაზნი, ვით თხანი დაცქრიალობდნენ“ (გეგეჭკორი 1895: 10); „ველარ დაუდგნენ, გაიქცნენ, მირბოდეს ვითა თხანია“... (გეგეჭკორი 1895: 14); „ყოველ კაცსა ჰყავდა ორ ორი აფხაზი, ჭკუა თხელია“... (გეგეჭკორი 1895: 15).

უნდა ვიფიქროთ, რომ აფხაზთა თხებად მოხსენიება ავტორის მიერ ალბათ განპირობებული იყო მათი გერბიდან გამომდინარე. როგორც ცნობილია აფხაზთა გერბზე გამოსახული იყო ტოტემი - თხა სამი ნახევარმთვარით. სისხლმღვრელი ომი აფხაზთა და დაქირავებულ ჩრდილოკავკასიელთა ძლევით დასრულდა. გამარჯვება მეგრელ-იმერლებს დარჩათ. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტიც, რომ იმერეთის მეფის გასტუმრების შემდეგ კაცია II დადიანმა მზერა რუსეთს მიაპყრო.

მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლ დადიანი იყო საზოგადო მოღვაწე, პოეტი, დიდი ქველმოქმედი პიროვნება და მთელი თავისი ქონება და ბიბლიოთეკა უანდერძა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი იყო 1879 წლიდან, თანხას სწირავდა სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებს, თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში („ცისკარში“, „ივერიაში“), სადაც ბეჭდავდა ეროვნულ-პატრიოტული ხასიათის ლირიკულ ნაწარმოებებს, პოემის ბოლო სტროფში აშკარად იკვეთება ავტორის პოლიტიკური ორიენტაცია - რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ გრიგოლ დადიანი რუსეთის გენერალი გახლდათ. აქედან გამომდინარე კი ნამდვილად არ არის საკვირველი პოეტის მიერ ხატოვნად ასახული კაცია II დადიანის გადაწყვეტილება:

„ამისთვის რა გამობრუნდა, ჩრდილოის ტახტსა მიჰმართა,
ორ-თავიანსა არწივსა ბრჭყალს შინა თავი მიართვა.
მან თვისის უხვიერებით ფრთა ირგვლივ მისა გამართა,
და ესრეთ დასრულდა ამბავი, რუსმან კეთილი დაგვმართა“.
(გეგეჭკორი1895:10)

ბესიკისა და გრიგოლ დადიანის პოემები მკაფიოდ ასახავს საქართველოს გვიანფეოდალური პერიოდის უკუღმართი სოციალურ-პოლიტიკური სინამდვილის სურათებს. აღნიშნული ბრძოლა იყო საბედისწერო გამოხატულება ჩვენი ქვეყნის შინაგანი ფეოდალური აშლილობისა, უთავბოლო ქიშპობისა

და კინკლაობისა, ქართველ მეფე-მთავართა კუთხური ინტერესების შეჯახებისა და მომაკვდინებელი სეპარატისტული მიდრეკილებების გამარჯვებისა.

ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობა „რაინდები“, როგორც ზევით აღვნიშნეთ დაწერილია ზეპირსიტყვიერების ნიმუშების მიხედვით. მწერალი ამის შესახებ შემდეგნაირად გადმოგვცემს: „ვისაც გამოუცდია დიდი ავადმყოფობა, ახსოვს ბოდვა, ტკივილების დროს ჩანგი თუ არა, ზღაპარი მაინც მოუსმენია, - იგი გაიგებს ჩემს სულისკვეთებას და სასიამოდ დარჩება არეული ისტორიის, დავიწყებული ზეპირგადმოცემების და დაღლილი ოცნების ხლართი მწარე ღამეებში ნაღვლიანი ფიქრების გასაფანტავად შეკონილი“ (ლორთქიფანიძე (1923 - 2024)

უნდა ითქვას, რომ მწერალი თანმიმდევრული სიზუსტით არ იძლევა ისტორიულ მოვლენებს. ნაწარმოებში ავტორის მიერ წარმოდგენილია მოქმედი პერსონაჟები: გიორგი აგიაშვილი, მეფის ძმა არჩილი, ოდიშის მთავარი, აფხაზთა მთავრები და თავადები - შერვაშიძეები, ემუხვარები, ინალიპა და სხვა. მწერლის მიზანია ემოციური სიმძაფრით გვიჩვენოს ბრძოლისა თუ ბრძოლის შემდგომი ეპიზოდები, წარმოაჩინოს ის არსებითი წინააღმდეგობანი, რომელმაც გამოიწვია ერთიანი სახელმწიფოებრიობის დაშლა და მაღალზნეობრივი რაინდობის თვისებათა გაუფასურება, რომელიც მწერალმა სატირულ-ირონიულ ფონზე გაშალა.

საგულისხმოა აფხაზთა მთავრის ინალიპას სიკვდილის წინ წარმოთქმული სიტყვები: „ახია ჩემზე, რაც მომივიდა. არ მომწონს დაუსრულებელი ომი ოდიშებთან და იმერლებთან. გადაეცით მეფეს, რომ თავის მსხვერპლად შეწირვა არ მინდოდა, მაგრამ მის გამარჯვებას ჩემს ღმერთსაც ვეველრებოდი“. და მართალია მწერალი, როდესაც სვამს ლოგიკურ კითხვას: „მაშ, რაღაზე ღვრიდნენ ერთმანეთის სისხლს?“

მეტად ორიგინალურად წარმოგვიდგენს მწერალი ომის შემდგომ დამარცხებულთა და გამარჯვებულთა ნადიმს. ნაწარმოებში მოცემული სულგრძელობისა და დიდსულოვნების მაგალითები მკითხველში იწვევს მწარე ირონიას. ნადიმობისას, როცა აფხაზეთის მთავრის შვილს ეკითხებიან გულახდილად სთქვი საჯაროდ, რატომ არ შეუტიე მეფეს, როცა ერთმანეთს შეხვდით, ხომ კი ეძებდით მას? ბატონიშვილმა თავი ჩაღუნა და მეფეს ისე შეხედა, თითქოს ნებართვას ითხოვდა თქმისა. როცა გარშემო მყოფებმა შეაგულიანეს, მორცხვად წარმოთქვა: - მირონცხებული მეფე ჩემზე ხნითაც უფროსია და გვარიშვილობითაც უმაღლესი - პირველად მას უნდა ენებებია ხმლის მოქნევა. ქების სიტყვები არ დაიშურეს მისი მისამართით მონადიმეებმა. ხოლო როცა არჩილმა ჰკითხა მეფეს - ძმაო-ბატონო, ახლა შენ უნდა გვითხრა, რატომ არ შეებრძოლე ბატონიშვილსო. მეფემ მცირე დუმილის შემდეგ გასცა

პასუხი: როგორც კი პირველად შევხედე, გავიფიქრე, ასეთი ვაჟკაცის გაფუჭებას ღმერთი არ შეუნდობს კაცს-თქო და ჩავუარე გვერდი. მეორედ რომ ვუახლოვდებოდით ერთმანეთს, დავუპირე ხმლის მოქნევა, მაგრამ საბედნიეროდ ცხენს ფეხი დაუსხლტა.

- გაუმარჯოს მეფეს, გაუმარჯოს რაინდებს! - ისმოდა მონადიმეთა ხმამაღალი შეძახილები.

დიახ, ასე ებრძვიან რაინდები ერთმანეთს, ასე ებრძვიან ქართველები ერთმანეთს. ამ ეპიზოდთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია, კონსტანტინე გამსახურდიას რომანიდან „მთვარის მოტაცებიდან“ მოვიყვანოთ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ნაწყვეტი, რომელიც ჰგავს აფხაზეთის მთავრის შვილისა და იმერეთის მეფის საბრძოლო სცენას, იმ განსხვავებით, რომ აქ მოწინაღმდეგეებად ვხედავთ ჩოლოყაშვილსა და ემხვარს.

„რუხის ციხესთან ომი ყოფილა ოდესღაც. გაღმა ქართველები მდგარან, გამოღმა აფხაზები და თათრები. დიდხანს უტრიალეს თურმე ქართველებმა რუხის ციხეს. მერმე ფალავნურ ბრძოლაზე გადასულან. ქართველებს ვინმე ჩოლოყაშვილი გამოუშვიათ, აფხაზებს ვიღაც ემხვარი. ჩოლოყაშვილი ჭაღარა კაცი ყოფილა, ემხვარი უწვერული ჭაბუკი და სწორად აქ, სადაც ჩვენი ბორანია, შეხვდნენ ერთმანეთს თურმე ჩოლოყაშვილი და ემხვარი. ემხვარი ეკვეთა პირველი და ხმლის ამოღება მოასწრო. რას უცდი ჭაბუკო?

- შესძახა ჩოლოყაშვილმა.
- უფროსისაგან პირველ მოქნევას ველიო.

გადახვევიან ურთიერთს ორივენი, იმდღიდან დამეგობრებულან“ (გამსახურდია 1996: 34-35). უნდა ითქვას, რომ ნ. ლორთქიფანიძის „რაინდებში“ მეტად მრავალმნიშვნელოვნად ჟღერს ნაწარმოებში მეფის სიტყვები „ყველა ეს ალანელები, ჩერქეზები როცა დაინახავენ, რომ ოდიშიდან ვერაფერს წაიღებენ, თვით აფხაზეთს შეესევიან“.

თუ დავაკვირდებით, ნ. ლორთქიფანიძის მიერ მოთხრობაში მცირე მინიშნებაც კი არაა გაკეთებული იმის შესახებ, რომ აფხაზები სხვა ჯიშისა და მოდგმის ხალხია. მწერალს ისინი ჭეშმარიტ ქართველებად მიაჩნია. ამით მან ხაზი გაუსვა და დაგვანახა ის მწვავე პრობლემატური საკითხი, რომელიც მის ეპოქაშიც არსებობდა. ხაზი გაუსვა იმ დიდ მტკივნეულ საკითხს, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია და ისტორიული ფაქტების მოხმობით გვიჩვენა, თუ როგორ ცდილობდნენ არამხოლოდ ჩრდილოკავკასიელები, არამედ სხვა გადამთიელებიც საქართველოს ძირძველი მიწის - აფხაზეთის მისაკუთრებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბესიკი (1962) ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი, შენიშვნები, ლექსიკონი, მე-6 გამოცემა, ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“;

გაბისონია (2012) პაპუნა გაბისონია, რუხის ბრძოლა (1780 წ.) და მისი მნიშვნელობა, „ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი“, XIV, თბილისი;

გამსახურდია (1996) კონსტანტინე გამსახურდია, მთვარის მოტაცება, ტ. IV, თბილისი, გამომცემლობა „დიდოსტატი“.

გეგეჭკორი (1895) ი. გეგეჭკორი, რუხის ბრძოლა ანუ ცხოვრება დიდის მეფისა სოლომონისა, თფილისი, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა;

გულდური (2021) ქ. გულდური, იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობებიდან XVI-XVIII საუკუნეებში (ოსმალური და ქართული წყაროების მიხედვით), ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, ბათუმი, https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_14885_1.pdf

ზაქარაია (2004) პ. ზაქარაია, ქართული ციხე-ქალაქები, ციხესიმაგრეები, ციხე - დარბაზები, ციხე-გალავნები, კოშკები, საკითხავნი ყმაწვილთათვის, 3, თბილისი;

ზაქარაია (2010) დ. ზაქარაია. ქელეშ-ბეი შარვაშიძე. https://burusi.wordpress.com/2010/02/09/ david-zakharaia/

კეკელიძე, ბარამიძე (1987) კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“;

კვაშილავა (2021) კახა კვაშილავა, ისტორიული სამურზაყანოს წარსულიდან, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“;

კვაშილავა, ქართველიშვილი (2020): კახა კვაშილავა, თეა ქართველიშვილი, ლევან შარვაშიძის ახლადმიკვლეული საბუთი, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია, შრომები, XIX-XX, თბილისი, გამომც. „მერიდიანი“;

ლორთქიფანიძე (1923 - 2024) ნ. ნ. ლორთქიფანიძე. რაინდები. https://poetry.ge/poets/niko-lortkipanidze/prose/xxau-raindebi

მენაბდე (1962) ლევან მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვეთი მეორე, თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“;

მოლაშხია (2002) ზ. მოლაშხია, რუხის ბრძოლა, „აია“ სამეცნიერო-პოპულარული და ლიტერატურული ჟურნალი, II, თბილისი;

ნიკოლეიშვილი (2004) ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ქართველი მწერლები და აფხაზეთი, ქუთაისი, „ქუთაისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“;

ორბელიანი (1966) ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული I, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“;
ორბელიანი (1993) ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული II, თბილისი, გამომცემლობა „მერანი“;
საქართველოს ისტორიის ნარკვევები (1973): საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“;
ტყეშელაშვილი (2016) ლევან ტყეშელაშვილი, იმერეთის მეფე სოლომონ I დიდი, ქუთაისი;
ჩხატარაიშვილი (1984) ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, რედ. ქ. ჩხატარაიშვილი, ტ. VIII, თბილისი;
ჩიქობავა (1950) ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რედ. არნ. ჩიქობავა, ტ. I, თბილისი, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“;